ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

ГАЗЕТА ОСНОВАНА 1920 ГОДА 3 ИЮНЯ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 208 (19649) ◆ ოთხშაბათი, 10 სექტემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ШЕМКВЕТИС ЧНДА СЖЕРОДЕС ТИЗВЕНО

ამ სლასანან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სახელმეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად პროდუქციის მიწოდების უზრუნველყოფისათვის დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული კომბინატის, სვევრსკის მილის ქარხნისა და ნოვოპოლოცკის „პოლიმირის“ საწარმოო გაერთიანების პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მუშაობის გამოცდილება.

ამ საკითხთან დაკავშირებით დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული კომბინატის, სვევრსკის მილის ქარხნისა და ნოვოპოლოცკის „პოლიმირის“ საწარმოო გაერთიანების პარტიული ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები სახელმწიფო დისციპლინის მკაცრად დაცვის შესახებ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა აქტიური, შემოქმედებითი განხორციელების მაგალითს უჩვენებენ, სტაბილურად ასრულებენ პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალებებს და უზრუნველყოფენ ხელშეკრულების მიხედვით მის 100-პროცენტიან მიწოდებას.

ლაპარაკია იმაზე, რომ ამ კოლექტივების საქმიანობის დამახასიათებელი თავისებურებაა წარმოების რიტმულობის მაღალი დონე, რომელსაც მიაღწიეს ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის განმტკიცების, ყველა ეტაპზე პროდუქციის გამოშვების სადღეღამისო ცვლის გრაფიკის ზუსტი შესრულების გზით. ბოლო დროს აქ მნიშვნელოვნად გარდაიქმნა ბრიგადების და უბნების მუშაობა, შეიქმნა კომპლექსური და გამჭოლი ბრიგადები, რომელთა დიდი უმრავლესობა ძირითადად გადავყვანილია ბრიგადულ სამეურნეო ანგარიშზე. მატერიალური სტიმულირების სისტემები, რომლებსაც აქ იყენებენ, მარტივი და გასაგები თითოეული მუშაკისათვის.

დადგენილებაში საზგასმულია, რომ ზემოხსენებული საწარმოების გამოცდილების გამოყენებას დიდი სასალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის გეგმაზომიერი და დინამიკური განვითარებისათვის, მნიშვნელოვანი ფაქტორია საგეგმო დისციპლინის განმტკიცების, მატერიალურ რესურსებთან წარმოების შეწონასწორების გაუმჯობესებისა და 1986 წლისა და მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებული შესრულების უზრუნველყოფის საქმეში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა ყველა სამინისტროს, უწყების, გაერთიანებისა და საწარმოს ხელმძღვანელებს დაწვრილებით გაერკვნენ, თუ რატომ სრულდება დაბალ დონეზე პროდუქციის შეკვეთები. მოწინავე გამოცდილების ფართო გამოყენების საფუძველზე განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულებისათვის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1986 წლის ივნისში მიღებული დადგენილების რეალიზაციას.

პროდუქციის მიწოდების ვალდებულების შესრულება ყოველთვის იყო ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მთავრობის ყურადღების ცენტრში. მეთორმეტე ხუთწლედში, მაგალითად, არ გამართულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არც ერთი პლენუმი, ან პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც ეს საკითხი არ ყოფილიყო პრინციპული მსჯელობის საგანი. ამაზე გაშახვილდა ყურადღება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ სახელმეკრულებო დისციპლინის დაცვის შემართულებით არ იყოს გარკვეული წინსვლა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ვერ გავაუმჯობესეთ ამ მხრივ შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელი და ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დაჩქარების პირობებში ასე ფონს ვერ გავალთ. შემდინარე წლის რვა თვის მონაცემებით, მიწოდების ვალდებულებას თანელ ვერ გაართვა სამენ მასალათა მრეწველობის სამმა, მსუბუქი მრეწველობის ოცმა, სასაგრომრეწვის თვრამეტმა, ხისა და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის ოთხმა საწარმომ. საერთოდ, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა 133-მა, ესე იგი ყოველმა მეშვიდე საწარმომ ვალდებულება მოამხარებელები და დაკლო მათ 78,4 მილიონი მანეთის პროდუქციისა. ამ თანხის დიდი რაოდენობა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა ნილად მოდის.

საწარმოთა აბსოლუტურმა უმეტესობამ, რომლებზეც ვრცელდება პროდუქციის ვალდებულებით მიწოდების მაჩვენებელი, რეალიზაციის საერთო გეგმა შესრულა, მაგრამ ვერ დაიცვა სახელმეკრულებო დისციპლინა.

ზემოხსენებულ დადგენილებაში ლაპარაკია მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა წარმატებულ შუმაობაზე. როგორ არის საქმე რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთ დიდ საწარმოში — რუსთავის თუჯსხმულების ქარხანაში? ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ საწარმოში დაიწყო და მიმდინარეობს გარდატეხა. კვლავაც ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, წარმოების ინტენსიფიკაციასთან, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მრავალი ღონისძიება. ბევრი მიმართულებით მიღწეული ხელშესახებია და ეს სასიამოვნო ფაქტია.

დიახ, ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ მართალია ისიც, რომ რვა თვის მონაცემებით, მიწოდების ვალდებულება ქარხანაში 82,1 პროცენტით შესრულდა. შემკვეთმა მიიღო 2011 ათასი მანეთით ნაკლები ნაწარმი. იმედია, ქარხნის კოლექტივი ყველაფერს იღონებს მოკლე ხანში მდგომარეობის გამოსწორებისათვის, პრესტიჟის განმტკიცებისათვის. ასევე უნდა ითქვას ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებაზე. ქუთაისელებმა მომხმარებელს 1780 ათასი მანეთის პროდუქცია დაკლეს. ძველებურად რთული სიტუაციაა რუსთავის „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებაში. შემკვეთი აქედან 18569 ათასი მანეთის პროდუქციას ელოდება. მიწოდების გეგმა ამ გაერთიანებამ მხოლოდ 73,8 პროცენტით შეასრულა. ცუდად აქვთ საქმე ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას. მისმა კოლექტივმა მომხმარებელს ვერ გაუგზავნა 4189 ათასი მანეთის პროდუქცია. რესპუბლიკაში განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებიდან სწორედ ზემოჩამოთვლილი გაერთიანებები და ქარხნები ეწევიან საქმეს უკან.

მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა, არცთუ იშვიათად, დაკავშირებულია ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი ნაწილების ნაკლებობასთან, სხვა ობიექტურ მიზეზებთან, მაგრამ ეს არ არის გასამართლებელი საბუთი. უფრო ხშირად ჩამორჩენის მიზეზი შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე, სუსტი ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა, მატერიალური, ფინანსური და სხვა სახეობის რესურსების არარაციონალური გამოყენებაა. არც გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის ფაქტებია გამონაკლისი. ამიტომ ზემოხსენებული სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ პრობლემის გადაჭრას მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმარონ. ამ საკითხის მოგვარებას შუდმივი კონტროლი უნდა დაუწესონ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა.

არაერთხელ გვითქვამს და კვლავ აღვნიშნავთ, რომ თქვენი შემკვეთი სამუშაო გეგმამი ითვალისწინებს პროდუქციის ნომენკლატურით მიწოდების სახელშეკრულებო ვადებს, იგი ვენდობათ. სჯერა თქვენი. თქვენი უშუალო მომხმარებელი, თავის მხრივ, მიწოდების ვალდებულებით სხვა ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული და პროდუქციის მოლოდინშია. ალბათ, აღარ უნდა იყოს საჭირო იმის შესხენება, რომ საწარმოებს შორის დადებული ხელშეკრულება დოკუმენტია, რომელიც კანონის ძალას იძენს და კანონის დარღვევა კი შეუწყნარებელია. მიმდინარე წლის დამთავრებამდე კიდევ საკმაო დრო დარჩენილი. ვიმედოვნებთ, სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა იღონონ და წლის დამლევამდე გამოასწორონ მდგომარეობა. ნუ დავრჩებით ვალში მომხმარებლის წინაშე და სულ მალე ამ მხრივ სრული წესრიგი დავამყაროთ.

მთელი ჩვენი აქტიურობა უნდა მოხმარდეს მაღალხარისხოვანი პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა უთუოდ შესრულებას, შეურიგებლად მოვეკიდოთ სხვისი მოიმედეობის განწყობილების გამოვლინებას. გამოვიჩინოთ დიდი მომთხოვნელობა ხელმძღვანელებისადმი, ყველა კომუნისტისადმი მომხმარებელთა წინაშე ვალდებულების უცილობელი შესრულებისათვის.

САКМЕЗЕ ГАМОЧАЧИНА

ჩინებულად ირჯებიან „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების კიროვის სახელობის მეთაური ქარხნის რიცხვულ-პროგრამული მართვის მჭონე № 41 საამქროს მუშაკები.

სურათზე: რიცხვულ-პროგრამული მართვის ჩარხის ოპერატორი იოსებ ლაზიაშვილი და საამქროს უფროსი ტარიელ გამყრელიძე, რომელიც აქ 1980 წლიდან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობს.

ა. საკაკოვის ფოტო

МАРЦВЛЕУЛИС РЕСУРСЕБИС ШЕСАВСЕБАД

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება მეთორმეტე ხუთწლედში ქვეყნის სამრეწველო მეურნეობის სტაბილურობის გაძლიერებისა და პურის საფურაჟე რესურსების გადიდების ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში დიდი ყურადღება ეთმობა მარცვლეულის დამზადების სისტემის გაუმჯობესებას, საფურაჟე ფონდის დაცვა-შენახვაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და რაციონალურ გამოყენებას. კერძოდ, განსაზღვრულია მარცვლეულის დამზადების, დამუშავებისა და რესურსების გამოყენების მთელი რიგი ახალი პირობები.

რა არის ამ სიახლეთა არსი?

იმის გამო, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სუსტად არიან აღჭურვილი მარცვალსაწმენდი და მარცვალსაშრობი ტექნიკით, და ამასთანავე აღნიშნული ტექნიკა სრულად არ არის დატვირთული სსრ კავშირის პურეული პროდუქტების სამინისტროს სისტემაში, მეურნეობებს ნება დაერთოთ ჩაბმიან მომეტებული ტენშემცველობისა და მინარევების მქონე მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების თესლი.

იმისათვის, რომ პურის მიმღები საწარმოები დაინტერესდნენ მარცვლეულისა და ზეთოვანი კულტურების თესლის მიღებადამუშავებითა და ხარისხოვანი შენახვის უზრუნველყოფით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, რომ წლევანდელი სეზონიდან მოყოლებული, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის 1986 წლის მოსავლის მომეტებული ტენშემცველობისა და მინარევების მქონე მარცვლეულის მიყიდვის დროს ისინი საწარმოებს დადაუხდიან შესაბამის თანხას მარცვლეულის შრობისა და გაწმენდისათვის იმ ფასდებათა მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია მოკავშირე რესპუბლიკების სახაგრომრეწვების მიერ. ასეთი ფასდებანი უკვე შეიმუშავა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვამაც.

ცნობილია, რომ მეურნეობები დიდძალ მარცვლეულს ხარჯავენ საფურაჟედ ძირითადად გადაუმუშავებლად, ხოლო ზოგ შემთხვევაში ამუშავებენ პრიმიტიულ საამქროებში. ამავე დროს კომბინირებული საკვების ქარხნებს შეუძლიათ ამავე რაოდენობის მარცვლეულისაგან გამოუშვან არა მარტო მეტი რაოდენობის, არამედ აგრეთვე გაცილებით უკეთესი ხარისხის კომბინირებული საკვები.

მაგრამ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ იყვნენ დაინტერესებული ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის მარცვლეული კომბინირებული საკვების სანაცვლოდ, ვინაიდან ეს გაცვლა არ არის ტოლფასი. ახლა დადგენილია, რომ სამარცვლიო მიღებული ხორბლის სანაცვლოდ კომბინირებული საკვების გაცემა წარმოებს 1,3 ცენტნერი კომბინირებული საკვების ანგარიშით ცენტნერი ჩასათვლელი წონის ხორბლის მარცვალში.

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროში გვაცნობეს, რომ სწორად გაგებული და შეფასებული ახალი პირობები დამატებითს შესაძლებლობებს გვისახავს ქვეყნის მარცვლეული რესურსების შემდგომი შევსებისათვის. (საქინფორმი).

РТВЕЛИ ЗАРАКИАНИ

ახლ გვიან რთველი არასოდეს დაწყებულა წითელწყაროში. ამას თავისი გამართლება აქვს. კარგი ღვინო, შარბათი მწიფე ყურძენმა იცის, როცა მისი შაქრიანობა 19-20 პროცენტს მიაღწევს.

ყველაზე ადრე ყურძენი ალაზნისპირა ვენახებში დამწიფდა — ზემო მაჩხაანის, მირზაანის, ოზაანის კოლმეურნეობებში.

პირველი ნაკრეფი საუკეთესო სუფრის ჯიშის ყურძენი თბილისის და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მოსახლეობას გაეგზავნა.

გვალვა მუყაითმა შრომამ და ვაზის სიყვარულმა დაამარცხა. მევენახეები იმაზე მეტ მოსავალს მოელიან, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. წითელწყაროელები 63 ათასის ნაცვლად 64.000 ტონა ყურძენს დაამზადებენ, 10.000 ტონამდე მაღალხარისხოვან ყურძენს კი რესპუბლიკის მშრომელებს მიჰყიდიან.

წლევანდელი რთველი და ყურძნის დამუშავების ტექნოლოგია წინანდელისაგან განსხვავდება, — გვითხრა წითელწყაროს ღვინის საწარმოთა გაერთიანების დირექტორმა კ. კობაიძემ. — განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროდუქციის ხარისხს. ამის გარანტიას იძლევა დიდად შაქრიანი ყურძენი. გარდა ხარისხოვანი სხოვან ყურძენს კი რესპუბლიკის მშრომელებს მიჰყიდიან.

წლევანდელი რთველი და ყურძნის დამუშავების ტექნოლოგია წინანდელისაგან განსხვავდება, — გვითხრა წითელწყაროს ღვინის საწარმოთა გაერთიანების დირექტორმა კ. კობაიძემ. — განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროდუქციის ხარისხს. ამის გარანტიას იძლევა დიდად შაქრიანი ყურძენი. გარდა ხარისხოვანი ღვინოებისა, ჩვენი ქარხნები დაამზადებენ 600.000 დეკალიტრ ტკბილ წვენს.

საზოგადოებრივ მეურნეობებს, ღვინის საწარმოთა კოლექტივებს გადაწყვეტილი აქვთ რთველი შემჭიდროებულ ვადაში დაამთავრონ. შედგენილია გეგმა-გრაფიკი, განაწილებულია მუშაზელი, ტრანსპორტი, თბილისის სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების სტუდენტები და მასწავლებლები ტრადიციულად წითელწყაროელებს დაეხმარებიან რთველში. მათთვის შექმნილია შრომისა და დასვენების პირობები.

ვლ. მჟელიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ASEთი UიმეOდრOბ?

ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხანამ 1982 წლიდან მტკიცედ დაიმკვიდრა ჩამორჩენილი საწარმოს სახელი. სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებათა სისტემატურმა შეუსრულებლობამ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა იგი, სერიოზული ზიანი მიაყენა მის პრესტიჟს, კოლექტივის წევრთა გუნება-განწყობილებას. პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაწყებული გარდაქმნის ნაცვლად საწარმოს საქმიანობა დაღმავალი გზით მიდის. დღითი დღე უარესდება ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, შრომის ორგანიზაცია და მისი პირობები.

ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობის ახლანდელი დონე, სპეციალისტთა კადრების დაბალი კვალიფიკაცია, ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულება და, რაც მთავარია, დაუსრულებელი ექსპერიმენტები, ვარიანტების მორგება ჯერ კიდევ არ იძლევა ჩამორჩენის დაძლევის საშუალებას.

ეს საწარმო დასახელეს ჩამორჩენილთა რიგებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული ბიუროს სხდომაზე, რომელზეც განიხილეს მიმდინარე წლის რვა თვის სამეურნეო შედეგები და დასახეს მესამე კვარტალის წარმატებით დამთავრების ღონისძიებანი.

გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი ვ. ჩაჩიბაია შეხვდა ქარხნის დირექტორს თ. გოგოლს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე:

— რატომ ჩამორჩა საწარმო ასე ქრონიკულად, და როგორ ურიგდება მას კოლექტივი?

— ჩამორჩენა თავიდან დაგვებედა, ვერა და ვერ ჩავდექით რენტაბელურ საწარმოთა რიგებში. ძალიან ბევრი მიზეზია, რომელთა ჩამოთვლაც კი უსიამოვნო გრძნობას იწვევს.

1982 წლიდან არ შესრულებულა არც პროდუქციის გამოშვებისა და არც მისი რეალიზაციის გეგმები. მაგალითად, 1985 წელს 6240 ათასი მანეთის ნაცვლად 4960 ათასი მანეთის პროდუქცია დავამზადეთ. სახელმწიფოს 1280 ათასი მანეთის პროდუქცია დავაკელით. მდგომარეობა არც მიმდინარე წლის შვიდ თვეში გამოსწორებულა: პროდუქციის გამოშვების დავალება 95,2 პროცენტით შეავსრულეთ, ხოლო რეალიზაციისა 93,6 პროცენტით. უკანასკნელ პერიოდში აშკარად შეინიშნება ნაწარმის ხარისხის გაუარესების ტენდენციები. მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მანქანა-დანადგარები ვერ უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილ რიტმს. წლეულს მომხმარებელთა 10 პრეტენზია მივიღეთ.

ჩვენი საწარმო მოქმედებს 1958 წლიდან. იგი დაგეგმილი იყო მუდმივი დენის აგრეგატების გამოშვებაზე. პირველდელი ნომენკლატურის შეცვლის გამო ქარხანა ვერ ამუშავდა პროექტით გათვალისწინებული სიმძლავრით. შემდგომ წლებში პროდუქციის ნომენკლატურა და წარმოების სპეციალიზაცია ისე ხშირად იცვლებოდა, რომ ქარხნის ტექნიკური განახლების ვერც ერთი პროექტი ვერ განხორციელდა. უცვლელი რჩებოდა მხოლოდ „ემუ-25-30“ ელექტრომანქანური გამაძლიერებლებისა და „მი-32“ ტიპის ძრავების წარმოება.

1979 წლის დამლევს ქარხანა გამოვიდა სამრეწველო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ დაქვემდებარებიდან. მიზეზი? რადიკალური განსხვავება გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურასა და პროფილში. 1980 წლიდან ქარხანა დაექვემდებარა ელექტროაგრეგატის საკავშირო საწარმოო გაერთიანებას. ამით გადაწყდა მისი სპეციალიზაციის საკითხი. შემდგომ წლებში ქარხანამ ითვისა მუდმივი დენის ახალი ტიპის ძრავების, 1983 წლიდან კი — „ავე-0714“ მარკის სარეცხი მანქანის ძრავების წარმოება.

ქარხნის ნაუკეთესი ვერ გადაუვანა პროდუქციის ახალი ნომენკლატურის გამოშვებაზე ისე მოხდა, რომ წარმოების მოდერნიზაციის საკითხზე არავის უზრუნია.

აი, რამ გამოიწვია ძირითადად წარმოების ქრონიკული ჩამორჩენა. ამას დაემატა ჩვენი უფერულობა და ქარხნის ტექნიკური პროფილის ლოგიკური დასაბუთების უქონლობა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონე. ადგილობრივი ტექნიკური სამსახურების მუშაკების ახლანდელ შემადგენლობას კი ძალა და უნარი არ შესწევთ რაიმე მკვეთრი ცვლილება შეიტანონ რთული მანქანების წარმოების გაუმჯობესებაში.

— რა მდგომარეობაა ამჟამად წარმოებაში, იგრძნობა თუ არა რაიმე გარდატეხა?

— სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, საკავშირო საწარმოო გაერთიანება რატომღაც წარმოებას განზე უდგას. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ ჩვენი პროდუქციის ნომენკლატურა ახლოს არ არის გაერთიანების პროფილთან, მას შესაძლებლობა არა აქვს ტექნიკური ხელმძღვანელობა გაუწიოს წარმოებას, იზრუნოს ახალი პროდუქციის გამოშვებაზე ქარხნის ტექნიკური აღჭურვის გათვალისწინებით.

სამინისტროს სისტემაში გაუთავებელი რეორგანიზაცია მიმდინარეობს და ფოთის ქარხნისათვის კი არავის სცალია. პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა არაერთხელ განიხილეს წარმოებაში შექმნილი მდგომარეობა, საქმიანი წინადადებები შეიტანეს სამინისტროში, ქალაქის ხელმძღვანელი მუშაკები თვითონ იყვნენ მოსკოვში. დაპირდნენ დახმარებას, მაგრამ რაიმე სასიკეთო შედეგი არ ჩანს.

უფრო მეტიც: შარშან, დეკემბერში მინისტრის ბრძანებაც გამოვიდა, რომლის მიხედვით ქარხანა აკლავ უნდა გადაეცეს საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ განკარგულებაში. წლეულს აპრილში ამ ბრძანების დამატებით გამოვიდა კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია, რომ ქარხანა უნდა დაუბრუნდეს თავის „პირველდელ პატრონს“, მაგრამ როდის და როგორ, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. აი, ასეთი გაურკვეველი, რებუსივით ძნელად ამოსაცნობი ბრძანებები იწერება წარმოების შესახებ, რაც სერიოზულ დაბნეულობას იწვევს კოლექტივში.

აღნიშნული ბრძანების მიხედვით წარმოება 1979 წლის დონეს უნდა დაუბრუნდეს. ჩვენ წინააღმდეგ ვართ, „საქელექტრომანქანის“ გაერთიანებაში გადასვლა ხელს არ გვაძლევს. გაერთიანების სისტემაში არ არის ისეთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მიესადაგება ჩვენს პროფილს და თანამედროვე მეცნიერულ დონეზე გაგვიწევდა დახმარებას.

შეფერხებანი გვაქვს ნედლეულით მომარაგებაშიც. აი, ერთი ტიპიური მაგალითი. მიმდინარე წლის იანვარში წარმოება 24 სამუშაო დღეს იყო გაჩერებული ამის გამო, რომ ყარაგანდის მეტალურგიულმა ქარხანამ დროულად არ მოგვაწოდა დინამოს ფოლადი. ამის გამო წარმოებამ ვერ გამოუშვა 20 ათასი ცალი სარეცხი მანქანის ძრავა. თქვენ წარმოიდგინეთ, რა ზარალს მიაყენებდა ეს ჩვენს, ისედაც შერყეულ ფინანსურ მდგომარეობას!

— მაინც, როგორ ფიქრობთ, როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს ჩამორჩენა, როგორ გაქვთ წარმოდგენილი ქარხნის, მისი კოლექტივის ახლო მომავალი?

— მიმდინარე სამეურნეო წლის დამლევამდე მდგომარეობა ვერ გამოსწორდება. ძნელია ჩამორჩენილ საწარმოთა რიგებში ყოფნა, მაგრამ, რა ვქნათ, სინამდვილეს პირდაპირ უნდა შევხედოთ. ის, რაც წლების მანძილზე არ გაკეთებულა, ასე ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით ვერ გაკეთდება. აქ ლაპარაკია ქარხნის მთლიან რეკონსტრუქცია-განახლებაზე, პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის რადიკალურ შეცვლაზე. როგორ გამოვალთ ასეთი მდგომარეობიდან, როცა ერთი მანეთის პროდუქციის ვამოშვებაზე მანეთსა და 25 კაპიკს ვხარჯავთ ამორტიზებული მანქანამოწყობილობის გამო?

მხოლოდ, ერთ ძირითად გამოსავალს ვხედავთ: წარმოება უნდა შევიდეს მიმე ელექტრომანქანათმშენებლობის საკავშირო საწარმოო გაერთიანებაში. ამ საკითხს ჩვენ ბერამდენად ვაყენებთ, მაგრამ დადებით გადაწყვეტას ვერ ველინესეთ. საქმე ის არის, რომ აღნიშნულ გაერთიანებაში შემავალ სამრეწველო საწარმოებს მუდმივი დენისა და ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ნაკეთობათა მანქანების წარმოების დიდი გამოცდილება და სპეციალიზებული საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროები აქვთ. გაერთიანებაში შედის აგრეთვე მეთაური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ჩვენი პროფილით მომუშავე საწარმოებს მყარ მეცნიერულ თანადგომას უწევს.

აღნიშნული დაქვემდებარებით ქარხანა უსათუოდ მიიღებს განვითარების მეცნიერულ დასაბუთებას. სერიოზული სამუშაობი შესრულდება მისი ტექნიკური განახლებისათვის, ძირეულად შეიცვლება და დაიხვეწება პროდუქციის ნომენკლატურა, ამაღლდება ხარისხი.

რედაქციისაგან:

თ. გოგოლი ახალგაზრდა დირექტორია. იგი წარმოებას 1985 წლის ოქტომბრიდან ხელმძღვანელობს, მაგრამ მთლად ახალბედაც არ ეთქმის. ადრე ამავე საწარმოში ჯერ დირექტორის მოადგილედ, ხოლო შემდეგ მთავარ ინჟინრად მუშაობდა. ახე რომ, უკუსვლას, კოლექტივის ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებას იგი საკუთარი თვალით უყურებდა.

ეს მომუშავე ახობით მუშა-მოსამსახურიდან ყოველი მეოთხე კომუნისტია. ეს კი ის ძალაა, რომელმაც უნდა შეძლოს „კოლექტივის დარაზმვა. სამწუხაროდ, პარტიული ორგანიზაცია, მისი ბიუროო (მდგომი ვ. ნადირაია) მოვლენებს განზე გაუდგა, შემრიგებლური პოზიცია აირჩია და ფაქტების რიგითი აღმრიცხველი გახდა. ადმინისტრაციისა და პარტიული ბიუროს საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ერთ მაგალითსაც მოვიყვანთ: წლის დამლევიდან დღემდე ვაკანტურია საინსტრუმენტო საამქროს, ტექნიკური ბიუროსა და ტექნიკური განყოფილებების უფროსების თანამდებობები. განა შეიძლება წარმოების ასეთი რთული რგოლების უპატრონოდ მიტოვება? თავისუფალია აგრეთვე მთავარი ბუღალტრის ადგილი. იგი სამსახურიდან აქ მოწყობილი დოკუმენტური რევიზიის შემდეგ დათხოვეს.

საწარმოს დირექტორი უმიდოდ ამოუცავს. მისი პესიმისტური განწყობილება პირდაპირ თუ არაპირდაპირ კოლექტივზეც მოქმედებს, ქმნის დაბნეულობის, სხვისი მოიმედეობის მანკიერ ატმოსფეროს. „უნდა გაგვიკეთონ“, „უნდა დაგვეხმარონ“, „ალბათ ჩაერევიან უფრო კვალიფიციურად“... დირექტორის ეს ფრაზები იმაზე მიუთითებს, რომ წარმოების მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის მყარი პროგრამის შემუშავება მის შესაძლებლობებს აღემატება.

GEGMIS REALIZACIA SAPEWWOA

ბურჯაანის რაიონის ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ საქმით დაამტკიცა, რომ რთულ კლიმატურ პირობებშიც შეიძლება მიღება. შაშიანის კოლმეურნეობამ საგეგმო დავალებით გათვალისწინებული 240 ტონის ნაცვლად 4 სექტემბრისათვის აწარმოეს 403 ტონა ხაზამორო. ეს პროდუქცია საგეგმოზე მეტი მოიყვანეს ვაზისუბნისა და ჩუმლაყის კოლმეურნეობებში და კალაურის საბჭოთა მეურნეობაში. მაგრამ გეგმების რეალიზაციისათვის რაიონის ყველა მეურნეობის მშრომელები ერთნაირად როდი გაისარჯნენ. ვეჯინის სანერგე მეურნეობაში (დირექტორი — შ. ბერიკელაშვილი) ამავე პერიოდისათვის 480 ტონის ნაცვლად მოკრეფილი ჰქონდათ მხოლოდ 10 ტონა ხაზამორო, კოლგაის სანერგე მეურნეობაში (დირექტორი — გ. ბეჟუაშვილი) — 240 ტონიდან 29 ტონა, კაჭრეთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — მ. დათუაშვილი) — 240 ტონიდან 91 ტონა, ჯიმითის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში — 480 ტონიდან 74 ტონა.

სწორედ ამ მეურნეობების არაორგანიზებული მუშაობის შედეგია, რომ რაიონში ბალჩეულის წარმოების დავალება ვერ სრულდება. მართალია, აგროსამრეწველო გაერთიანებაში ვარაუდობენ, რომ გეგმების შესრულებაში გოგრის მოსავალიც დაეხმარებათ, მაგრამ ეს სათუოა, რადგან გეგმა 1000 ტონა ბალჩეული აკლია.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

MUIDVELTA INTERESEBISATVIS

OOOПРАВДА

გაზეთ „პრავდის“ 7 სექტემბრის მოწინავე სტატიაში „მყიდველთა ინტერესებისათვის“ ლაპარაკია სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების თანამედროვე პრობლემებზე, იმ ამოცანებზე, რომლებიც უნდა გადაწყდეს მოსახლეობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. სტატიაში სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ გადაუჭრელი პრობლემებია საქონელმომარაგების ორგანიზაციაში, სუსტად არის შესწავლილი მოსახლეობის მოთხოვნები, რის გამოც დიდძალი საქონელია თავმოყრილი საწყობებში. ცხადია, ყოველივე ეს უდიდეს ზარალს აყენებს ვაჭრობას. ამ მხრივ სხვა რესპუბლიკებთან ერთად გაკრიტიკებულია საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციებიც.

სწორედ ამიტომ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ა. მოვსესიანს გამოეთქვა აზრი გაზეთ „პრავდის“ მიერ წამოჭრილ საკითხებზე, იმ კრიტიკულ შენიშვნაზე, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას ეხება.

—გაზეთ „პრავდის“ კრიტიკული გამოსვლა ნამდვილად რომ დროული და სამართლიანია, — თქვა ამხ. ა. მოვსესიანმა. — ჩემი აზრით, მეც და რესპუბლიკის ყველა სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელმაც სერიოზული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ გაზეთის ამ კრიტიკული შენიშვნიდან.

ნაკლი და ხარვეზი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს მუშაობაში.

გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სისტემის ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ბლომად გვაქვს ზენორმატიული ნაშთები, რასაც გაზეთი „პრავდაც“ აღნიშნავს. მართალია, ამ მხრივ მდგომარეობა შარანდელ

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

მსჯელობენ მეზღვაური კომუნისტები

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ჩვიდმეტი წლის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე სანაოსნო გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მძლავრ და მოწინავე სატრანსპორტო ორგანიზაციად, რომელსაც დიდი წვლილი შეეტანა სახალხო მეურნეობის მილიონობით ტონა ტვირთის ტრანსპორტირების საქმეში. სანაოსნოს მიღწევებზე ისიც ნათლად მეტყველებს, რომ განვლილ პერიოდში მან მრავალჯერ დაიმსახურა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა. ყოველ კვარტალში რამდენიმე ხომალდი საკავშირო შეჯიბრების გამარჯვებული ხდება. კარგი შედეგები აქვთ საქართველოს ნავსადგურებს. მაგალითად, ბათუმის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანმა ნავსადგურმა მეთერთმეტე ხუთწლედი ვადამდე ხუთი თვით ადრე დაამთავრა. დოკერები წელს ორი კვირით უსწრებენ გრაფიკს.

ამჟამად სანაოსნოს პარტიული კომიტეტი 85 პირველადს პარტიულ ორგანიზაციას აერთიანებს, აქედან 60 ფლოტშია, დანარჩენი — სახმელეთო ორგანიზაციებში. სანაოსნოში წლის მთავარი კრებებისთვის მზადება კარგა ხანია დაიწყო. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიულმა კომიტეტმა ორჯერ განიხილა საანგარიშო-საარჩევნო კრებებისთვის მზადების და მიმდინარეობის საკითხი, დასახა კონკრეტული ღონისძიებები, რომლებშიც ნათქვამია, თუ რას მიაქციონ კომუნისტებმა კრებებზე განსაკუთრებული ყურადღება. დადგენილება დაიხმარა პარტიულ ორგანიზაციებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლაში, იმ მტკივნეული საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც სანაოსნოს მეზეაურთა ცალკეული ხომალდების ეკიპაჟების წინაშე იდგა.

საქართველოს ხომალდები მსოფლიოს ყველა ზღვასა და ოკეანეს სერავს. წინა წლებთან განსხვავებით წელს საანგარიშო-საარჩევნო კრებები ეწყობა იმ დროს, როცა ხომალდები ჩვენი ქვეყნის ნავსადგურებში შემოდიან. როგორც უკვე პრაქტიკაში დამკვიდრდა, კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სანაოსნოს წარმომადგენლები. ამას ის უპირატესობაც აქვს, რომ ოპერატიულად ხდება ინფორმაციების გაცვლა და მის შესაბამისად ზომების მიღება.

საანგარიშო კრებები უმრავლეს გემებზე უკვე მოეწყო. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ნდგომარეობა, რომ კამათში კომუნისტთა 97 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. კომუნისტებმა კრიტიკულად და თვითკრიტიკულად განიხილეს და შეაჯამეს პარტიული ორგანიზაციების ყრილობის შემდგომი ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის პირველი შედეგები, ილაპარაკეს გარდაქმნისა და ტექნიკური განახლების საკითხებზე. აქ აიტაცეს მოწოდება: „გარდაქმნა ყველას საქმეა. დაიწყე საკუთარი თავით!“ მომავალი წლიდან სანაოსნოს ყველა გემი გადადის მართვის ახალ სისტემაზე, რაც გულისხმობს ათასათიანი ვახტის შემოღებას. რამდენიმე გემი უკვე გადასულია ამ ახალ ფორმაზე და მას კარგი ეკონომიკური შედეგიც მოჰყვა, გაიზარდა მეზღვაურთა და მეთაურთა პასუხისმგებლობა.

წინა წლებთან შედარებით ფლოტის ყველა უბანზე დიდი წინსწ�ა, ნაკლები დარღვევები და დანაშაულობანი. განმტკიცდა შრომის დისციპლინა და ტექნიკური სამსახურის მდგომარეობა. საუკეთესო მაგალითს იძლევიან „ნოდარ დუმბაძის“, „ზაქარია ფალიაშვილის“, „აკადემიკოს დავითაიას“, „ბოლშევიკ კამოსა“ და სხვა ხომალდების ეკიპაჟები. მაგრამ პარტიულმა კრებებმა დაადასტურეს, რომ ყველა გემზე ყველა მუშაკი არ იყენებს შესაძლებლობის მაქსიმუმს. „ქარელია“ და „აქტაშის“ პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები გაიმართა ზარცლად, ისე, რომ წინასწარ საგულდაგულოდ არ მომზადებულან. კომუნისტთა პირუთვნელმა და ნაქმიანმა გამოსვლებმა ნათელი გახადა ის შუქ-ჩრდილები, პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში რომ იგრძნობოდა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითი.

„ზაქარია ფალიაშვილის“ ეკიპაჟი ერთ-ერთი მოწინავეა საქართველოს საზღვაო სანაოსნოში. წლის პირველი ნახევრის შედეგებით სოციალისტურ შეჯიბრებში ხომალდი მეორე ადგილზე გამოვიდა. რამ განაპირობა წარმატება? ხომალდი ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა თავისუფლების კუნძულზე. ტუაფსესა და კუბის ნავსადგურებში ეკიპაჟმა ტვირთის ვადამდე დამუშავების მიზნით დოკერებთან და ხელეთზე მომუშავე ბრიგადებთან გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. შრომის ასეთ ორგანიზაციას მუდამ კარგი შედეგი მოსდევს. მოკლე დროში შესარულეს სატვირთო ოპერაციები. დროის ეკონომიას ფლოტში ხომ ოქროს ფასი აქვს. ამიტომაც მეზღვაურებმა სხვაზე უკეთ იცან მისი ყადრი. მათ წლის პირველ ნახევარში უკვე დაზოგეს 80 საათი სვლის დრო. ამ ხნის განმავლობაში გასწიეს 110 ტონა სათბობის ეკონომია, გადაზიდეს ასობით ტონა ზეგებგმითი ტვირთი. საკუთარი ძალებით გახორციელეს 10.900 მანეთის რემონტი.

პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. ოლეინიკოვმა, მექანიკოსმა ლ. აპოსტოლომ, კაპიტნის თანაშემწემ რ. კალანდაძემ, მეზღვაურმა მ. ნაკაშიძემ და სხვებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ სრულდება ის გეგმები, რომლებიც პარტიამ საქართველოს საზღვაო ფლოტს და კონკრეტულად „ზაქარია ფალიაშვილის“ ეკიპაჟს დაუსახა. გარდაქმნა, — ითქვა კრებაზე, — ჩვენს პარტიას ავსებს ახალი სასიცოცხლო ძალით, ზრდის მის ავტორიტეტს. გარდაქმნის ერთ-ერთი ფორმა იქნება მართვის ახალ სისტემაზე გადასვლა, რომლისთვისაც ეკიპაჟი მომზადებულია. კამათის მონაწილე კომუნისტებმა. მკაცრად გააკრიტიკეს სანაოსნოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება, რომელიც გემს არ უზრუნველყოფს საკმარისი სათადარიგო ნაწილებით. ანალოგიური საყვედურები გამოთქვეს სხვა გემების ეკიპაჟებმაც. სათადარიგო ნაწილები სანაოსნოში საკმარისად არის, მაგრამ მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების ზოგიერთი მუშაკი უპასუხისმგებლობის იჩენს და ხელოვნურ ბარიერებს ქმნის. ეს ნათლად გამოჩნდა პარტიის საოლქო კომიტეტის პიუროს ერთ-ერთ სხდომაზე, როცა ამ განყოფილებაში არსებულ ნაკლოვანებებზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

ხომალდის პარტიულმა ორგანიზაციამ, ეკიპაჟის ხელმძღვანელობამ ცოტა როდი იმუშავეს, რომ შეექმნათ მონოლითური კოლექტივი, დაეარსებათ მეზღვაურები ბათუმის ნავსადგურში გემზე. ეკიპაჟმა გაიცილებინა ბათუმის ნავსადგურის ბიუროს ერთ-ერთი ინსპექტორი ბ. ბოლოტინი. ეს ხომალდი ეკიპაჟმა ბაკურიანი ეწვია. ეს ადგილი ბევრ ბათუმელ ბავშვს ეცოდინებოდა. ეკიპაჟმა ბავშვებს ბევრი ტკბილეული ჩუქნა. ეს ფაქტი ბევრ ბავშვს ალბათ ბევრ ხანს ახსოვ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები

ქვეყანა ღონე ვიხმაროთ ბირთვული ომის აღსაკვეთად

ჰარარე. აქ დამთავრდა მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების VII კონფერენცია, რომელმაც ცხადყო, რომ მიუმხრობლობის მოძრაობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს მშვიდობისა და პროგრესის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. მასში მონაწილეობდნენ ასამდე ქვეყნისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის დელეგაციები.

მიუმხრობლობის მოძრაობის კონფერენციამ მიიღო „ჰარარეს მოწოდება“

კონფერენციამ მიიღო „ჰარარეს მოწოდება“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მიმართ. მოწოდებაში გამოთქმულია დიდი შეშფოთება გამალებული ბირთვული შეიარაღების გაძლიერების გამო. კაცობრიობა, ნათქვამია დოკუმენტში, ასე ახლოს არასდროს მდგარა თვითმკვლელობის უფსკრულის პირას. ეს მშვიდობისათვის და ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლას ჩვენი დროის მთავარ ამოცანად აყენებს.

კონფერენციის მონაწილეებმა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს მოუწოდეს დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი ბირთვული ომის აღსაკვეთად, განაგრძონ დიალოგი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მიზნით და რეალურ შეთანხმებათა მისაღწევად განიარაღების დარგში, მათ შორის, კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების შეთანხმების დასადებად.

ფორუმის პოლიტიკურ დეკლარაციაში მიესალმებიან ბირთვული განიარაღების ყოვლისმომცველ პროგრამას, რომელიც სსრ კავშირმა წამოაყენა. აღნიშნავენ, რომ მისი მიზნები ახლობელია მიუმხრობელი ქვეყნებისათვის. კონფერენციის მონაწილეები დიდად აფასებენ საბჭოთა ცალმხრივ მორატორიუმს ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებაზე და მოუწოდებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუერთდეს მას. სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს ხელი აიღოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების მე-2 ხელშეკრულების დაცვაზე.

მათ დაგმეს რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ამერიკის შეერთებული შტატების „კონსტრუქციული თანამშრომლობის“ პოლიტიკა. დეკლარაციაში ხაზგასმულია, აგრეთვე, რომ ახლო აღმოსავლეთში შშვიდობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როდესაც ისრაელი გაიყვანს თავის ჯარებს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან და პალესტინელ ხალხს მიეცემა თვითგამორკვევის უფლება. მოუმხრობელმა ქვეყნებმა გულისწყრომა გამოთქვეს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა გადაწყვიტა 100 მილიონი დოლარი გამოკყოს ნიკარაგუელი კონტრასების დასაფინანსებლად. მათ მოუწოდეს დასავლეთს უარი თქვას ახალგაზრდა ქვეყნების მიმართ ისეთი მეთოდების გამოყენებაზე, როგორიც არის სავაჭრო შეზღუდვები, ბლოკადა, ემბარგო, ძალის გამოყენება და დაგმეს ვაშინგტონი ნიკარაგუისა და ლიბიის ეკონომიკური ბოიკოტისათვის.

კონფერენციის დახურვისას მიუმხრობლობის მოძრაობის თავმჯდომარემ, ზიმბაბვეს პრემიერ-მინისტრმა რობერტ მუგაბემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვა ჩვენი დროის გადაუდებელი ამოცანაა. ჩვენი მოძრაობა, თქვა მან, ემსახურება მასში შემავალი ქვეყნების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვას. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების განსხვავებას არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ ფორუმზე მიგვეღწია თანხმობისათვის. ფართო წრის პრობლემების გამო.

● ჩილე

აპატიმრებენ თვალსაჩინო მოღვაწეებს

ბუენოს-აირესი. ჩილედან მოდის ცნობები, რომ აპატიმრებენ ოპოზიციური ორგანიზაციების თვალსაჩინო მოღვაწეებს.

სანტიაგოს სხვადასხვა რაიონში მასობრივი ჩხრეკის დროს დააპატიმრეს ჰერმან ალარკონი — სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე, რომელშიც კომუნისტები შედიან, და სხვა წამყვანი ანტიდიქტატორული კოალიციის — დემოკრატიული ალიანსის ხელმძღვანელობის წევრი რიკარდო ლაგოსი. კვლავ დააპატიმრეს ოპოზიციური ჟურნალის „ანალისისის“ რედაქტორი ხოსე კარასკო ტაპია, რომელიც ახლახან გაათავისუფლეს.

მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრებანი სანტიაგოში ეწყობა მას შემდეგ, რაც უცნობ პირთა ჯგუფმა ცეცხლი და ხელყუმბარები დაუშინა მანქანებს, რომლებშიც დიქტატორი პინოჩეტი და მისი დაცვა იმყოფებოდნენ. მთელ ქვეყანაში მოქმედებს საალყო წესები. დამსჯელთა ქვეგანაყოფები ჩხრეკენ დიდაქალაქის მუშათა გარეუბნებს ფაშისტური რეჟიმის მეთაურზე თავდასხმის მონაწილეთა აღმოჩენის მიზნით.

● საფრანგეთი

პრემიერის განცხადება

პარიზი. პარიზის მერიის შენობაში გუშინ მოწყობილი აფეთქების გამო, რომლის შედეგადაც ერთი კაცი დაიღუპა და ათი დაიჭრა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა, დიდაქალაქის მერმა ჟაკ შირაკმა განცხადება გააკეთა საფრანგეთის ტელევიზიით.

მან დაგმო ტერორისტთა მოქმედება და აღნიშნა, რომ ტერორიზმი თანამედროვეობის ერთ-ერთ უბედურებად იქცა. როგორც მერმა თქვა, მთავრობა სათანადო ღონისძიებებს განახორციელებს მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველსაყოფად. ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, განხორციელდება მოქმედების მჭიდრო კოორდინაცია სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან.

● ინდოეთი

რეაქციის ხრიკები

დელი. ინდოეთის დიდაქალაქში კვლავ დაძაბული ვითარებაა, რომელიც გამოიწვია რელიგიურ და ტომობრივ ნიადაგზე შეტაკებებმა. ინდუსტური შოვინისტური ორგანიზაციის შივ სენას მიერ პროვოკაციულად გამოწვეული უწესრიგობის შედეგად ერთი კაცი დაიღუპა და ბევრი დაიჭრა. დელის მთელ რიგ რაიონებში მოქმედებს კომენდანტის საათი. დახურულია მაღაზიები, სკოლები და სახელმწიფო დაწესებულებანი, არ მუშაობს ქალაქის ტრანსპორტი. ქუჩებს პატრულობენ პოლიციის ქვეგანაყოფები. ქალაქ ამრიტსარში გამოაცხადეს, რომ დაპატიმრებულია პაკისტანიდან ინდოეთში შეგზავნილი სიქ ექსტრემისტთა ბანდების ერთ-ერთი მეთაური ბალჯით სინგჰა. ამ დანაშაულს ბევრი სისხლიანი დანაშაული ჩაიდნინ პენჯაბის შტატის ტერიტორიაზე.

მგზნებარე ცხოვრების შტრიხები

რთამრობა — მეფის ჩინოვნიკური აპარატის ეს დამახასიათებელი თვისება.

დარბაზში საშინელი ხმაური ატყდა. მოხელეებმა, ესერებმა და ებშევიკებმა ტრიბუნისაკენ გაიწიეს, თავჯდომარეს სერგოსათვის სიტყვის ჩამორთმევა მოთხოვეს, არ იცის ტრიბუნაზე როგორ მოიქცესო, ბრალი დასდეს ორატორს.

— ამ დარბაზში მსხდომ მუშათა გარდა თქვენს შორის არც ერთი პატიოსანი კაცი არ არის, ყველანი მეერთამეები ხართ, კატეგორიული ტონით შეეპასუხა მათ სერგო.

მოხელეები, რაკი გრძნობდნენ, რომ ბოლშევიკური პრეზიდიუმი მათ მხარს არ უჭერდა, დემონსტრატულად გავიდნენ დარბაზიდან. ასეთი მგზნებარე და უშიშარი იყო სერგო ყოველთვის, მუდამ ბრძოლისა და შრომის წინა ხაზზე იდგა...

ოციან წლებში საძირკველი ეყრებოდა ზაპესის ჰიდროელექტროსადგურის პირველ რიგს. 1922 წლის 10 სექტემბერს აქ გამართულ პირველ შაბათობაზე 4500 კაცი მონაწილეობდა. სერგოც მათთან ერთად, მათ თანაბრად მუშაობდა, ძალ-ღონეს ნუ დავიშურებთ, ამხანაგებო, მალე ავბარდდვიალოთ სოციალიზმის ჩირაღდნებიო, ამხნევებდა მუშებს...

1926 წლის 3 ნოემბერს სკკ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ამტკიცებს ორჯონიკიძეს სკკ(ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ.

მოსკოვში ვამგზავრების წინ ორჯონიკიძემ მონახულა ზაპესი, რომლის მშენებლობასაც ესოდენ დიდი ღვაწლი დასდო. მიემგზავრებოდა დიდი რევოლუციონერი, გული კი საქართველოში რჩებოდა.

ზაპესი საზეიმოდ გაიხსნა მისი მოსკოვში გადასვლის შემდეგ, 1927 წლის ივნისში. მ. ი. კალინინი საგანგებოდ ამ ზეიმისათვის ჩამოვიდა, მან გადაჭრა ლენტი პირველ ტურბინაზე.

ერთი წლით ადრე კი იოსებ სტალინი ეწვია ზაპესის მშენებლობას, დაათვალიერა სამუშაოები, ესაუბრა მუშებს, ტექნიკოსებს, ინჟინრებს და მადლობა გადაუხადა მათ. მთელი მუშაობის დეტალურად გაცნობის შემდეგ, რაც სამ საათს გაგრძელდა, სტალინმა სპატიო სტუმრების წიგნში ქართულად ჩაწერა: „გაუმარჯოს ჩვენს აღმშენებლებს — მუშებს, ტექნიკოსებს და ინჟინრებს! სოსო ჯუღაშვილი. 2 ივნისი. 1926 წ.“. ამ აღმშენებელთა პირველ რიგებში კი სერგო ორჯონიკიძეც იდგა...

ორჯონიკიძე ვერ იტანდა იმათ, ვინც მზად არის, ყველა ნაკლი, ყველა შეცდომა სხვას გადააბრალოს, სხვის ზურგს ამოეფაროს. ორჯონიკიძეს ეკუთვნის „ბოლშევიკური პარტიის ისტორიის“ ეს ფრაზა: „ბოლშევიკი ებრძოლოს ასეთებს, ვინც უნდა იყვნენ ისინი, როგორი დამსახურებაც უნდა მიუძღოდეთ წარსულში.... საკმარისი არ არის ლაპარაკი — საჭიროა საქმის კეთება. ვერც ერთ აშკარა ბიუროკრატს ვერ ნახავთ ჩვენს ქვეყანაში, ბიუროკრატიზმს რომ არ ლანძღავდეს, ვერც ერთ ბიუროკრატს ვერ ნახავთ, თავის მოვალეობად რომ არ თვლიდეს, რაც შეიძლება მაგრად შეუკურთხოს ბიუროკრატიზმს. მაგრამ საჭიროა არა მარტო ლანძღვა, არამედ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი, სისტემატური ბრძოლა. ბრძოლას წარმატება ექნება მხოლოდ მუშათა კლასის აქტიური მონაწილეობის პირობებში“...

ორჯონიკიძე დიდ ყურადღებას აქცევდა მშრომელთა მიღებას, მისი კარი მუდამ ღია იყო მთხოვნელთათვის, მაშინაც კი, როცა ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს. ამიტომაც იყო, რომ 1936 წლის 7 იანვარს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რაკი იცოდა ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი მისი ასეთი დამოკიდებულება, მიიღო სპეციალური დადგენილება: „დაევალოს ამხ. ორჯონიკიძეს 9 იანვარს დილიდანვე 12 დღით გაემგზავროს დასასვენებლად ადარაზე მოსკოვის მახლობლად და ამ დროის მანძილზე მიიღოს დღეში მხოლოდ 1-2 კაცი“.

ერთობ ყურადსაღებია მისი დამოკიდებულება პრესისადმი. იგი მოითხოვდა, რომ პრესას მუდამ ფხიზლად ედევნებინა თვალი მოვლენებისათვის, დაუნდობლად ებრალებინა და აღმოეფხვრა სიყალბე და თვალის აბეჭვის ფაქტები იმის მიუხედავად, თუ ვის ესიამოვნებოდა ან ეწყინებოდა ეს. მისი აზრით, გაზეთისათვის წმიდათაწმიდა უნდა იყოს მარტო ის, რაც სასარგებლოა ჩვენი სახელმწიფოსათვის.

პარტიის XV ყრილობაზე იგი აღნიშნავდა: „როგორ უნდა აკრიტიკებდეს პრესა ჩვენს ნაკლოვანებებს? ის აკრიტიკებს, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, კმაყოფილდება წვრილმანებით, „მეთსრის“ კრიტიკით...

ჩვენ ყველანი მზად ვართ ბიუროკრატიზმი ვდევნოთ. მაგრამ, თუ რომელიმე ჩვენგანს მოხვდა, მაშინვე ერთი დავდარაბა ატყდება — როგორ თუ მე მომხვდაო. მე — არა, შენ — არა, მაშვინაც უნდა მოხვდეს? კრიტიკა ქალიშვილი როდია, რომ მისი შეყვარება შეიძლებოდეს, იგი წამალია და უნდა იცოდე, როგორ მიიღო“.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: 1931 წლის აგვისტოში ორჯონიკიძე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ესტუმრა ერთ-ერთ დიდ საწარმოს, დაათვალიერა მისი ყველა საამქრო, უბანი და იქვე მისია ეს სიტყვები: „ეძებენ მშვენიერად იცით, რომ მე იმ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნი, რომლებიც მძიმე პირობებში მზად არიან ყველაფერი სხვას გადააბრალონ, თვითონ კი ბუჩქებში მიიმალონ. რა ბოლშევიკი ვიქნები, თუ ასე მოვიქცევი!“.

იგი მუდამ მოითხოვდა, რომ ყველას საკუთარი საქმე ეკეთებინა და პირადად ეგო პასუხი მინდობილ უბანზე შექმნილი მდგომარეობისათვის. ერთხელ კოლეგიის სხდომაზე გორკის საავტომობილო ქარხნის სახელგანთქმული მკედელი ალექსანდრე ბუსიგინი დაინახა და მოსკოვში მისი ჩამოსვლის მიზეზით დაინტერესდა. თურმე, ბუსიგინი გამოეგზავნათ ქარხნისათვის გამოყოფილი იმ ლითონის წასაღებად, რომლის გამოყოფასაც „ფოლადმომარაგება“ საშველს არ აყენებდა.

ორჯონიკიძე გაჯავრდა, მკაცრად გააკრიტიკა ქარხნის ხელმძღვანელობა, რომელმაც სახელგანთქმული მკედელი საქმეს მოაცდინა და მომმარაგებლად, მასალის გაგზავნის დამაჩქარებლად გამოიყენა.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ვერ იტანდა, როცა სამეურნეო მუშაკები მასთან რაიმეს საოხოვნელად პარტიული კომიტეტის მდივნების თანხლებით მიდიოდნენ, თვლიდა, რომ ან დირექტორია უმჯობეა და მას პარტკომის მდივანი ხელიხელჩაკიდებული დაატარებს, ან მდივანს სურს სახალხო კომისარზე ზემოქმედებით დაეხმაროს დირექტორს.

სრულიად ვერ იტანდა უნებისყოფო, მერყევ ადამიანებს, მატყუარებს, განსაკუთრებით კი ბიუროკრატებს. ერთ-ერთ სხდომაზე სერგომ ჩვეული პრინციპულობითა და პირუთვნელობით დაუნდობლად გაამათრახა მექრთამეობა — მეფის ჩინოვნიკური აპარატის ეს დამახასიათებელი თვისება.

ასეთი მგზნებარე და უშიშარი იყო სერგო ყოველთვის, მუდამ ბრძოლისა და შრომის წინა ხაზზე იდგა...

ოციან წლებში საძირკველი ეყრებოდა ზაპესის ჰიდროელექტროსადგურის პირველ რიგს. 1922 წლის 10 სექტემბერს აქ გამართულ პირველ შაბათობაზე 4500 კაცი მონაწილეობდა. სერგოც მათთან ერთად, მათ თანაბრად მუშაობდა, ძალ-ღონეს ნუ დავიშურებთ, ამხანაგებო, მალე ავბარდდვიალოთ სოციალიზმის ჩირაღდნებიო, ამხნევებდა მუშებს...

ჩრდილოეთ კავკასიაში შეიძლება მოისმინოთ მშვენიერი ლეგენდა, როგორ წიაკამათეს ერთხელ მოხუცებმა იმაზე მსჯელობისას, თუ რომელი ერის შვილია სერგო. — ჩვენია — ოსების, თქვა ერთმა, ჩვენთან, ოსეთში ყველა იცნობს მას და ყველას უყვარს.

— არა, ჩვენია — ინგუშების, თქვა მეორე მოხუცმა. ჩვენს აულში ის საზლიც არის შემორჩენილი, რომელშიც იგი ღამეს ათევდა და ხმალსაც ისევე კარგად ფლობდა, როგორც ჭეშმარიტ ინგუში.

— აზერბაიჯანელებისაა, — შეეპასუხა მესამე, ყოველთვის და ყველგან ამბობდა: სადაც კი ვყოფილვარ — ცომბირშიც, რუსეთშიც... მე თავს ბაქოს პროლეტარიატის აღზრდილად ვთვლიო.

მოხუცებს ინაზდად ერთი ახალგაზრდა მოუახლოვდა და ღიმილით უთხრა: „მაპატიეთ, პატივცემულნო, მაგრამ სერგო ორჯონიკიძე ქართველია. თუმცა... შემდეგ იგი რუსეთში ცხოვრობდა და მუშაობდა. შეიძლება იგი რუსადაც ითვლება?“.

მოსაუბრეთაგან უხუცესმა თქვა: „დაიხსომეთ, ჩვენი დიადი საბჭოთა მიწის ყოველი კუთხისაკენ ჰქონდა მას გზა“.

დიახ, ლეგენდა საბჭოთა ადამიანების აზრებს და გრძნობებს გამოხატავს. სწორედ ამიტომ ჩვენს დიად მიწაზე ბევრგან არის მისი ძეგლები, მისი სახელობის ქალაქები, რაიონები, ქუჩები....

...1937 წლის 19 თებერვალს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი უნდა შემდგარიყო. სერგო ორჯონიკიძე გულმოდგინედ ემზადებოდა, მაგრამ ამჯერად მას, სამწუხაროდ, ალარ ეწერა პლენუმზე გამოსვლა, ერთი დღის სიცოცხლეა დარჩენოდა...

ცამდე მართალია გამოჩენილი რუსი მწერალი ალექსი ტოლსტოი, რომელმაც მის შესახებ დაწერა: „გოლიათები და გმირები არ კვდებიან. სერგოს მოსაგონრად დარჩა ჩვენი მრეწველობის გიგანტები, ასეული ათასობით ტრაქტორი, რომლებმაც იმისათვის გადახნეს ჩვენი სამშობლოს ველ-მინდვრები, რომ ალმოცენდეს დიადი რევოლუციური ჰუმანიზმის თესლი, რომელი ჰუმანიზმითაც იწვოდა სერგოს გული.

მისი ხსოვნა ჩვენი კავშირის ყველა ხალხში იცოცხლებს, რადგან მისი ძალისხმევით შეიქმნა ჩვენი დამოუკიდებლობისა და ძლიერების საფუძველი.

და ყოველი თვითმფრინავი, რომელიც ჩვენი სამშობლოს ამომავალი მზის სხივებზე მრისხანე გაფრთხილებად ელვარებს, დაე ატარებდეს ინიციალებს „ს“ და „ო“ ნიშნად იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია გვიყვარდეს და გვახსოვდეს ადამიანები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე გასწირეს ჩვენი ბედნიერებისათვის“.

სერგო ორჯონიკიძის ცხოვრება და მოღვაწეობა არ ეკუთვნის წარსულს. იგი დღესაც ჩვენს რიგებშია, ჩვენთან ერთად იბრძვის. მისი მგზნებარე ცხოვრებისადმი ინტერესი ყოველთვის განუზომელი იქნება.

ფილიპე მახარაძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

საპატიო წოდება — გვარდიელი!

45 წლის წინათ იშვა საბჭოთა გვარდია

ტამანის გვარდიულ მოტომსროლელ დივიზიაში შენაერთის ისტორიის გაცნობას ახალგაზრდა შევსება იწყებს საბრძოლო დიდების მუზეუმით. ჯარისკაცები სწორედ აქ ეზიარებიან თანაპოლკელ-ფრონტელთა გმირობას, დივიზიის სახელოვან მხედრულ გზას, იგებენ გვარდიელის მაღალი წოდების ფასს.

...1941 წლის ივლისის ბრძოლების დროს ფაშისტთა დივიზიებმა მოახერხეს სმოლენსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით შეჭრილიყვნენ საბჭოთა ჯარების განლაგებაში. შექმნილ შვერილს ჰიტლერელთა სარდლობა თავის გეგმებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა: აქედან შემდგომში დარტყმა უნდა მიეყენებინათ მოსკოვის მიმართულებით. ელნიას შედარებით მცირე შვერილზე თავმოყრილი იყო დაახლოებით ათი დივიზია.

ჩვენი დასავლეთის ფრონტის სარდლობამ სწორედ აქეთ მიმართა თავისი მთავარი დარტყმა. საბჭოთა ჯარები აგვისტოს დამლევს შეტევაზე გადავიდნენ. გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა, გაანადგურეს ვერმახტის რამდენიმე დივიზია. და 6 სექტემბერს გაათავისუფლეს ელნია. ამ ბრძოლის დროს იშვა საბჭოთა გვარდია.

18 სექტემბერს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით მე-100, 127-ე, 150-ე, 161-ე მსროლელ დივიზიებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამრჩენილი თავი, წითელ არმიაში პირველებს მიენიჭათ გვარდიულის წოდება. მათ შესაბამისად ეწოდათ 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 გვარდიული მსროლელი დივიზიები.

გვარდიის შექმნის შესახებ ბრძანება განსაკუთრებული გაზდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების ცხოვრებაში: იგი გამოხატავდა იმ ჯარის დაბადებას, რომელმაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდ სამამულო ომში.

...საბჭოთა გვარდიის მატიანე გრძელდება. მის ფურცლებზე ახლა აღიბეჭდა საბჭოთა კავშირის გმირების — გვარდიის გენერალმაიორის ა. სლიუსარის, გვარდიის პოდპოლკოვნიკის ი. კუზნეცოვის, გვარდიის უფროსი სერჟანტების ნ. ჩეპიკის, ა. მირონენკოს, სერჟანტ ი. ჩმუროვის, ასობით მეომარ-ინტერნაციონალისტის სახელები.

საბჭოთა გვარდია ხალხის სიამაყეა. იმ ჯარისკაცთა შვილები და შვილიშვილები, რომლებმაც მკერდით დაიცვეს სამშობლო 1941 წელს და გაიმარჯვეს 1945 წელს, ისეთივე უსაზღვროდ ერგულებენ კომუნისტური პარტიის საქმეს, ისევე უანგაროდ უყვართ სამშობლო, ისევე მზად არიან შეასრულონ მისი ყველა ბრძანება, როგორც მათი პაპები, მამები ასრულებდნენ.

ლენინის ორდენოსანი მოსკოვის სამხედრო ოლქი

ო. მოსკოვსკი,
საკდესის კორ.

10 სექტემბერი, 1986 წ.



სოფია. აქ გაიმართა ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 42 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრებას დესწრნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

ჩვენმა ხალხმა გამარჯვებას მიაღწია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და უძლეველი საბჭოთა არმიის გადამწყვეტი დახმარებით, ხაზგასმით აღნიშნა თავის მოხსენებაში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარემ სტანკო ტოდოროვმა. ბულგარეთისათვის დიადმა 9 სექტემბრის დღემ დასაბამი მისცა სოციალისტურ წელთაღრიცხვას. ხალხი და პარტია სამართლიანად ამაყობენ სოციალიზმის წლებში მიღწეული წარმატებებით. სახალხო ხელისუფლების ძალა გაიზრდება შეფასებებისა და პროგნოზების რეალიზმთან, შეცდომებთან და ნაკლოვანებებთან შეურიგებლობასთან, კონსტრუქციულ კრიტიკასთან და თვითკრიტიკასთან ერთად.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დაჩქარებულ განვითარების კურსი სავსებით ეხმიანება მოძმე სოციალისტური ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, სკკპ XXVII ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ეს კურსი შეესაბამება მთელი სოციალისტური თანამეგობრობის, მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის ინტერესებს.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აღმავლობა, აღნიშნა ს. ტოდოროვმა, დაკავშირებულია ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობასთან.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, შეგნებულ ინტერნაციონალიზმზე დაფუძნებული ურთიერთობანი, ერთმანეთისადმი ძმური ერთგულება, ინტერნაციონალური ერთიანობა — ეს ის ფუძე, ის ბაზისია, ის ბერკეტი, ის ენერგეტიკული ბირთვი, ის ენერგია, ის ენერგეტიკული ბირთვი, ის ენერგია, ის ენერგეტიკული ბირთვი, ის ენერგია

„სამასარაგველობა“ თეთრიწყლებში

უკვე მეთერთმეტედ შეეფინა „ლალიანის“ გორას ფერად-ფერადი მანქანები და სადღესასწაულოდ გამოწყობილ სტუმარ-მასპინძელთა დიდი ლაშქარი. მეთერთმეტედ მოირთო მაშრიალი ტყე, ფერად-ფერადი ტრანსფარანტებითა და ლოზუნგებით. სპეციალურად მოწყობილ სცენაზე გაიმართა ლექსის, სიმღერისა და ცეკვის ზეიმი, ერთმანეთს შეერკინენ საჭიდაო ჩოხებში გამოწყობილი ბიჭები.

სიტყვას ლექსი ცვლიდა, ლექსს — სიმღერა, სიმღერას — ცეკვა, თავიანთ ხელოვნებას უჩინებდნენ ართანის ეთნოგრაფიული მომღერალთა, თეთრიწყლების, წინანდლის კულტურის სახლის, თელავის ქორეოგრაფიული სტუდიის მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლები.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

„საფარობა“

ახალციხე. (საკ. კორ.). დილიდანვე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი სამცხის დიდებული ხუროთმოძღვრული ძეგლის — საფარის მონასტრის მიდამოში, სადაც უკვე მეშვიდედ იმართება დიდი სახალხო დღესასწაული „საფარობა“.

ახალციხელ მშრომელებთან ერთად ზეიმზე მოვიდნენ ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის, ახალქალაქის, ზესტაფონისა და სხვა რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები, რესპუბლიკის დედაქალაქიდან ჩამოსული კულტურის, ლიტერატურის და ხელოვნების დარგის მუშაკები, მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები...

საზეიმოდ რეკავენ სამცხის ზარები, რომელთა ხმასაც ქართული ხალხური სიმღერები და საცეკვაოები ცვლიან.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიან რესპუბლიკის ცნობილი მსახიობები და ესტრადის მომღერლები, მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდები, თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები და თოჯინების სახალხო თეატრი...

ზეიმი, რომელმაც შემდეგ ახალციხეში გადაინაცვლა, გვიან საღამომდე გაგრძელდა და დიდ სახალხო სეირნობად იქცა.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—86 ● ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—86 ● ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—86

დარბაზს საამოდ ეფინება ტაბილი კოლხური მელოდიები. მტრედივით ღუღუნებს მეგრული ჩონგური. „მაფშალიაა“ (ბულბულია) ეს თუ „ცირა“, „მახარია“ თუ „ნანა“, — მსმენელი ხანგრძლივ ოვაციას უმართავს შემსრულებლებს...

კოლხური ტრიო ბელა ქამადაძის, დარეჯან ფაჩულიას და დონარა მიმინოშვილის შემადგენლობით უკვე საკმაოდ პოპულარულია მთელ რესპუბლიკაში. მაგრამ განსაკუთრებული სიყვარული მაფშალიებმა მშობლიურ ცხაკაიაში მოიპოვეს. უამრავი თხოვნა მოდის ცხაკაიას კულტურის სახლში. ტრიოს იწვევენ ზუგდიდელი, აბაშელი, ხობელი, გეგეჭკორელი, ფოთელი, ჩხოროწყუელი, მესტიელი მშრომელები. ქალთა შესანიშნავი სამეულიც ენერგიას არ იშურებს, რათა უხვი მოსავლისათვის მოსაწევად გაშლილი ბრძოლის ცხარე დღეებში კონცერტები გამართოს უშუალოდ პლანტაციებში, მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში.

ხალხური სიმღერების ფანატიკურმა სიყვარულმა შეაკავშირა ისინი. სამივე შემსრულებელს მუსიკალური განათლება აქვს. დარეჯან ფაჩულია ცხაკაიას სამუსიკო სკოლის პედაგოგია, ბელა ქამადაძე — კულტურის სახლის ინსტრუქტორ-მეთოდისტი. დონარა მიმინოშვილი ნოსირის საბავშვო ბაღის გამგეა.

კარგი ოჯახური სიტუაცია, ერთსულოვნება და ხალხური სიმღერისადმი დიდი სიყვარული ხელს უწყობს სამეულის პროფესიულ დაოსტატებას.

ამას წინათ „კოლხურ ტრიოს“ თავისებური შემოქმედებითი იუბილე ჰქონდა — დაარსების ათი წელი შეუსრულდა. რაიონის მშრომელებმა მომღერლებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ცხაკაიას თეატრში.

ტრიომ შესანიშნავად შეასრულა ქართული ხალხური, გულში ჩამწვდომი მეგრული სიმღერები. მღეროდა სამი ბულბული, სამი მაფშალია, და მათ მსმენელს შეუძლებელი იყო ერთხელ კიდევ არ ეწამა ეროვნული სულის, მარადიულობა და უკვდავება.

ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: მღერის „კოლხური ტრიო“; მარცხნიდან — ბელა ქამადაძე, დარეჯან ფაჩულია და დონარა მიმინოშვილი.

როცა სამი „მაფშალია“...

ᲐᲑᲘᲨᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲥᲔᲑᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ

ამ ორი ათეული წლის წინათ აბაშის რაიონულ კულტურის სახლთან ჩამოყალიბებული აგიტმხატვრული ბრიგადა „მრავალამღერი“ დაუღალავად იღვწის მშრომელთა მხატვრულ-ალმზრდელობითი მუშაობის პოპულარიზაციისათვის. მაყურებელს ყოველთვის სიამოვნებს აგიტბრიგადის ხელმძღვანელის, კულტურის დამსახურებული მუშაკის ზ. თოდრიას, წევრების — ა. კუპრავას, ა. ჩოჩიას, მ. კაჭარავას, გ. ჯღარკავას, ს. გაბელიას, ნ. გაბუნიას, დ. გვაზავას, რ. მიქაძის სცენაზე გამოჩენა.

აგიტმხატვრული ბრიგადა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დათვალიერების მონაწილეა და დამსახურებული წარმატებებიც აქვს მოპოვებული.

სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი აგიტმხატვრული ბრიგადების, აგიტთეატრების, მხატვრული კითხვის წრეებისა და სტუდიების საკავშირო დათვალიერებაში, აბაშის აგიტმხატვრულ ბრიგადას პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა, რითაც უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიეღო სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გამართულ აგიტმხატვრულ კოლექტივების საკავშირო კონკურსში.

აბაშის საგიტაციო მხატვრულმა კოლექტივმა აქაც მაღალი საშემსრულებლო დონე აჩვენა, მოსკოველებს წარუდგინა დრამატურგ ნ. ხუციშვილის ახალი პროგრამა „რა მოხდა აბაშაში“.

პროგრამაში ასახულია აბაშის ექსპერიმენტების კეთილი გავლენა, რაიონის მშრომელთა მიღწევები, დაგმობილია ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ უშლის ხელს ახალ-ახალ წარმატებებს.

მოსკოველმა მაყურებელმა და საკავშირო ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა აბაშელთა ნამუშევარს, აღინიშნა მონაწილეთა მაღალი სამემსრულებლო დონე, სცენური და მუსიკალური კულტურა...

ამ შეფასების დასტურია სამადლობელი ბარათიც, რომელიც ამ დღეებში გამოუგზავნა მოსკოვიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექციამ პარტიის აბაშის რაიკომს.

ამჟამად აგიტბრიგადის წევრები ემზადებიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალისათვის.

ნ. გომართელი.



სურათზე: გამოდის აბაშის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა.

ᲡᲢᲘᲥᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲞᲣᲔᲑᲘᲐᲜ

მიწისძვრამ, რომელიც მიმდინარე წლის 3 სექტემბერს მოხდა საქართველოში, დიდი ზარალი მიაყენა ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სახალხო მეურნეობას. აქ დაზიანდა ათასზე მეტი საცხოვრებელი შენობა, ბევრი სკოლა, სამედიცინო პუნქტი, მეცხოველეობის ფერმა. რამდენიმე ათეული სახლი მთლიანად უვარგისი გახდა საცხოვრებლად. ეს, ძირითადად, ფარფალალა ნაგებობებია, რომლებიც ამ მხარისათვის ტრადიციული ალიზისა და ქვის ნარევით აუშენებიათ. საბედნიეროდ, მიწისძვრას არავინ დაუშავებია, გარდა ქალაქ ახალქალაქის თანამედროვე სეისმომედეგი, ხუთსართულიანი შენობის მცხოვრები ციალა თორხანიასი: მიწისძვრის მომენტში ძლიერი ბიძგის შედეგად მას ფეხი დაუცდა. მეზობელმა სახდაზღვევის ინსპექტორმა ლევან ხაჩატურის ძე შერენიანმა, რომელიც სამსახურში მიიჩქაროდა, იგი საავდმყოფოში წაიყვანა გადასახვევად.

— ჩვენს სახლში, ბევრ სხვა სახლშიც, ძლიერი მიწისძვრის გამო თაროებიდან ჩამოცვივდა ჭურჭელი, დაზიანდა ავეჯი. ხოლო თვით სეისმომედეგმა სახლმა გაუძლო სტიქიის შემოტევას, — უთხრა მან კორესპონდენტს.

— ახალქალაქის რაიონში მიწისძვრამ ყველაზე მეტად ბარალეთის სასოფლო საბჭოს ხუთი სოფელი დაზარალა, — თქვა რაიონმასკომის თავმჯდომარემ მერუჟან არამის ძე გოგორიანმა. — აქ ოთხასზე მეტი შენობა დაზიანდა...

რა თქმა უნდა, მძიმე სანახავია დანგრეული კერა. მაგრამ გარსდახვეული ახლობელი ადამიანები, რომელთაგან თითოეული მზად არის მოგეხმაროს, რითაც შეუძლია, გასაჭირს გიიდვილებენ. ამიტომ საუბარიც საქმიან ხასიათს იღებს: რამდენი ცემენტი, ქვა, მერქანი დასჭირდება ბინის აღდგენას? სახელმწიფო საშენი მასალების გარდა ფულითაც ეხმარება დაზარალებულთ.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ლევან ავაქის ძე მაკვარიანს ამ წუთებში ყველასათვის ეძებნება თანაგრძნობის სიტყვები, საქმიან რჩევასაც არ იშურებს. იგი ყველა სახლში შინაურ, ახლობელ, კეთილ კაცად ეგულებენ. ამიტომ ყველა ამ ადამიანს ეკითხებიან, ეს ვინ არ ეცემა ფეხზე, ეს ვინ ადგება ადგილზე, ეს ვინ ეტაფეს ეტაფეზე ... ეს ვინ ... ეს ... ეს ... ეს